

იმუნიზაცია
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)

იმუნიზაცია ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს უფასო ვაქცინაციას. პროგრამა მოიცავს ეროვნული გეგმური კალენდრით გათვალისწინებული დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაციასა და მიზნობრივი ჯგუფების იმუნიზაციას.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ბცქ):

- აცრა ტარდება სამშობიარო სახლში/განყოფილებაში დაბადებიდან 0-5 დღის განმავლობაში. თუ ახალშობილის აცრა ვერ განხორციელდა სამშობიარო სახლში/განყოფილებაში 0-5 დღის განმავლობაში, მას ბცქ ვაქცინაცია უტარდება პირველივე შესაძლებლობისთანავე, 1 წლამდე ასაკში იმუნიზაციის მომსახურების მიმწოდებელთან;
- ვაქცინაცია 1 წლამდე ასაკში შეიძლება ჩატარდეს ერთდროულად ნებისმიერ სხვა რუტინულ ვაქცინასთან ერთად;

B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (B ჰეპატიტი)

- აცრა ტარდება სამშობიარო სახლში/განყოფილებაში დაბადებიდან 0-12 საათის განმავლობაში.

დიფთერია, ყივანახველა (არაუჯრედული), ტეტანუსი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი b, პოლიომიელიტი (ინაქტივირებული), B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ჰექსა)

- აცრა ტარდება 2, 3, 4 თვის ასაკში, კურსი არის სამდოზიანი, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალია 4 კვირა. ვაქცინის გამოყენება რეკომენდებულია 24 თვის ასაკამდე.

დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსის საწინააღმდეგო რევაქცინაცია (დყტ, დტ, ტდ)

- კომბინირებული ვაქცინები გამოიყენება რევაქცინაციისათვის.
- **დყტ** ვაქცინით რევაქცინაცია ტარდება 18 თვის ასაკში;
- **დტ** ვაქცინით 5 წლის ასაკში;
- **ტდ** ვაქცინით - 14 წლის ასაკში და ზემოთ. დიფთერიის და ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პირველადი კურსის დასრულების შემდეგ, ყოველ მე-10 წელს 55 წლის ასაკამდე აცრები უნდა ჩატარდეს ტდ ვაქცინით.

- თუ პირი არ არის ასაკობრივად აცრილი დიფთერიის, ტეტანუსის და ყვიანახველას ვაქცინებით, ამ შემთხვევაში: არავაქცინირებული პირი უნდა აიცრას ასაკის შესაბამისი ვაქცინით და აცრების კურსი არის სამდოზიანი. პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალია 4 კვირა, მეორე და მესამე აცრებს შორის რეკომენდებული ინტერვალია 6 თვე; 2 წლიდან 5 წლამდე ასაკში ვაქცინაცია/რევაქცინაცია ტარდება **დყტ/დტ** ვაქცინით. ყვიანახველას კომპონენტზე (**დყტ**) უკუჩვენების შემთხვევაში, აცრები გრძელდება **დტ** ვაქცინით; 5 წლიდან 7 წლამდე ასაკში ვაქცინაცია/რევაქცინაცია ტარდება **დტ** ვაქცინით; 7 წელზე უფროს ასაკში ვაქცინაცია/რევაქცინაცია ტარდება **ტდ** ვაქცინით.

დიფთერია - ყვიანახველა (არაუჯრედული) - ტეტანუსი/ინაქტივირებული პოლიომიელიტი (დყტ/პ) ვაქცინა

- ვაქცინა გამოიყენება დიფთერიის, ყვიანახველას, ტეტანუსის და პოლიომიელიტის საწინააღმდეგო რევაქცინაციისათვის 18 თვის და 5 წლის ასაკში;
- თუ პირი არ არის ასაკობრივად აცრილი დიფთერიის, ტეტანუსის, ყვიანახველას და პოლიომიელიტის საწინააღმდეგოდ, ამ შემთხვევაში 2 წლიდან 13 წლამდე ასაკის არავაქცინირებული პირი იცრება სამჯერადად. პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალია 4 კვირა, მეორე და მესამე აცრას შორის რეკომენდებული ინტერვალია - 6 თვე.

პოლიომიელიტის საწინააღმდეგო რევაქცინაცია (ორალური ვაქცინა, ოპვ)

- რევაქცინაცია ტარდება 18 თვის და 5 წლის ასაკში. 2 წელზე უფროსი ასაკის არავაქცინირებული ბავშვების და მოზარდების აცრების კურსი არის სამდოზიანი, მინიმალური ინტერვალია 4 კვირა;

წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინაცია (წწყ)

- კურსი არის ორდოზიანი და ტარდება 12 თვის და 5 წლის ასაკში. არავაქცინირებული ბავშვები და მოზარდები უნდა აიცრან წწყ ვაქცინის 2 დოზით. აცრებს შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალია 4 კვირა.

პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (პნევმო)

- აცრა ტარდება 2, 4, 12 თვის ასაკში, კურსი არის სამდოზიანი: პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალი არის 8 კვირა; მეორე და მესამე დოზებს შორის მინიმალური ინტერვალი არის 6 თვე;
- არავაქცინირებული ჩვილები და ბავშვები - 7 თვე და უფროსი ასაკი: 7-11 თვის ასაკში ვაქცინაციის კურსი არის სამდოზიანი - ორი პირველადი აცრა კეთდება მინიმალური 4 კვირის ინტერვალით. მესამე აცრა უნდა გაკეთდეს სიცოცხლის მეორე წელს, მეორე აცრიდან მინიმალური 8 კვირის ინტერვალით; 12 თვე – 5

წლის ასაკში ვაქცინაციის კურსი არის ორდოზიანი. დოზებს შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალია 8 კვირა.

როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ორალური ვაქცინა, როტა)

- აცრა ტარდება 2 და 3 თვის ასაკში, კურსი არის ორდოზიანი და პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალია 4 კვირა. რეკომენდებულია ვაქცინის პირველი დოზის მიცემა 16 კვირის ასაკამდე. აცრების ორდოზიანი კურსი უნდა დამთავრდეს 24 კვირის ასაკში.

ადამიანის პაპილომაავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (აპვ)

- აცრა ტარდება 10 - 11 - 12 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფში, აცრების კურსი არის ორდოზიანი, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალია 6 თვე. ვაქცინაციის დაწყების მინიმალური ასაკია 9 წელი.

ასევე დამატებით მიზნობრივი ჯგუფების ვაქცინაცია მოიცავს:

- **B ჰეპატიტის** საწინააღმდეგო ვაქცინაცია ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის (დიალიზზე მყოფი პირები, ჰემოფილით დაავადებული პირები, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი პირები, მსმ პირები, აივ-ინფექციით/შიდსითა და C ჰეპატიტით დაავადებული პირები, სამედიცინო პერსონალი, სამედიცინო პროფილის სასწავლებლების სტუდენტები.)
- **ადამიანის პაპილომაავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის „გაწმენდის“ რაუნდების** ჩატარება 13 – 26 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფებში შემდეგი სქემით: 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ორჯერადი ვაქცინაცია მინიმუმ 6 თვის ინტერვალით; 15 – 26 წლის ასაკობრივ ჯგუფში სამჯერადი ვაქცინაცია შემდეგი სქემით: 0 – 2 – 6 თვე. პირველ და მეორე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ 1 თვე, ხოლო მეორე და მესამე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ 3 თვე;
- **პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციას** ქრონიკული დაავადებების: (ჰიპერტენზია; გულის იშემიური დაავადება; დიაბეტი; ფქოდი; ასთმა და სუნთქვის უკმარისობის სხვა ფორმები) მქონე 65 წლის და უფროსი ასაკის პირებისა და ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების (თავშესაფრების) ბენეფიციარებისთვის.
- **ახალი კორონავირუსული დაავადების – COVID-19-ის საწინააღმდეგო** ვაქცინაციას;
- იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში შეისყიდება ვაქცინები და შრატები ასევე შემდეგი დაავადებების საწინააღმდეგოდ: დიფთერია, გრიპი, ბოტულიზმი, ტეტანუსი, გველის შხამის საწინააღმდეგო ვაქცინა.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://www.ncdc.ge/#/pages/content/668987ac-f9b6-443f-93c3-88cedccc1f5e>